№726 შაბათი, 16 იანვარი. 1896—1899 შაბათი, 16 იანვარი № 726

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-დაქცია არ ბეჭდავს.
პირ-პირ მოლაპარაკება რედაქ-ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე"
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

V. vertorel
constructeur pillecfranche
(Rahone) ვაზის შესასხურებელი
მანქანა „ვქლერ" გოგირდის შე-
საყრელი მანქანა „ტორპილი.

ორშაბათს, 17 იანვარს, დანიშნულია
საზოგადო კრება ხელოსანთა ამ-
ხანაგობის
„შრომისა"
კრება გაიხსნება დილის 10 საათზე
ამხანაგობის ქარხანაში, ხიდზედ, მუხ-
რან-ბატონის სახლებში.
საგანი კრებისა:
1. მოხსენება ექვსის თვის ანგარი-
შისა.
2. არჩევა ფირმის წარმომადგენე-
ლის მომავალის წლისთვის.
3. სარჩელი მაზედ, თუ რა საშუ-
ალებით შეიძლება ამხანაგობის თანხის
გადიდება და ქარხანის უკეთ მოწყობა.
4. არჩევა გამგეობის სამის წევრი-
სა და სამის კანდიდატისა. არჩევა ზე-
დამხედველ-კომიტეტის სამის წევრისა
და სამის კანდიდატისა
საარჩევნო კენჭი მიეცემა მხოლოდ
წევრთ, რომელნიც 17 იანვრამდის
წევრთ ფულს 13 მანათად შეასრუ-
ლებენ.
(4—3).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი შინაგანისა, ნერვებისა, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. ბერაატი.

შაგიამანი
„MAKKLES FIELD"
ერთად-ერთი წარმომადგენელი
მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდლენდერი. ტფილისში.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ.
მარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო
ფურია.
Лѣчебница В С Топуріа въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** გუბერნატორთა სხდომა. 14 იანვარს, გენ.—ლეიტ. ე. ე. ზე-ზემანის თავმჯდომარეობით, მოხდა ტფილისში კავკასიის გუბერნა-ტორთა და სამხედრო ოლქის უფ-როსთა სხდომა ყაჩაღების შესა-ხებ. ©

*** წლიური აქტი და ექსარხო-სის წირვა წმ. ნინოს სასწავლებელ-ში. 14 იანვარს, წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის ეკკლესიაში წირვა გადაიხადა მა-ღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა სა-ქართველოს ექსარხოსმა უმაღლე-სი სამღვდელოების თანამწირვე-ლობით. წირვის დროს გალობდა მოწაფე ქალთა გუნდი. წირვის შემ-დეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი და წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერ მათ დიდებულებათა, მას-წავლებელთა და მოწაფეთათვის. დასასრულ, სასწავლებლის დარ-ბაზში გაიმართა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ: მაღალ-ყო-ვლად უსამღვდელოესი ექსარხოსი, კავკასიის მთავარმართებელი მეუღ-ლითურთ, კავალერიის გენერალი ი. გ. ამილახვარი, უმაღლესი სასახ-ლის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე და მრავ. სხ.. საღამო-თი სასწავლებელში ბალი გაიმარ თა. ©

*** წირვა სიონის ტაძარში. 14 იანვარს, წმ. ნინოობა დღეს, გო-რის ეპისკოპოსმა ყოვლად-სამღვ-დელო ლეონიდემ, უმაღლესი სამ-ღვდელოების თანამწირველობ-ით, გადაიხადა წირვა, წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლი-სი და სამეფო მრავალჟამიერი. წმ. ნინოს ხატთან და ვაზის ჯვარ-თან, რომელიც შემკული იყო წმ. ნინოს თმით, დღესასწაულის წინა-დღიდანვე აუარებელი ხალხი მი-დიოდა სამთხვევლად. ტაძარი და გალავანი წინა დღით, ლოცვის დროს, და თვით დღეობაზე, წირ-ვის დროს გავსებული იყო მლო-ცველებით.

*** წიგნთსაცავ-სამკითხველოს კურთხევა ფოთში. 14 იანვარს ად-გილობრივი მთავრობისა და მრა-ვალ ხალხის თანადასწრებით ყოვ-ლად სამღვდელო ალექსანდრემ აკურთხა წიგნთსაცავ-სამკითხვე-ლო. ეპისკოპოსმა შესწირა წიგნთ-საცავს 100 მ.

*** ბარონ დე-ბაი კავკასიაში. საფრანგეთში ბევრს ლაპარაკობენ კავკასიაში ბარონ დე-ბაის მგზავ-რობის შესახებ. პარიზის გაზ. „Petit bleu"-ში დაბეჭდილია შე-ნიშვნა გაზეთის ერთი თანამშრომ-ლისა, რომელსაც საუბარი ჰქონია ბარონთან. დე-ბაის გადაუცია მის-თვის თვისი შთაბეჭდილებანი და უთქვამს, კავკასიაში შესანიშნავი თავაზიანობით და ყურადღებით მი-მიღესო. სხვათაშორის, დიდად გაუ-ხარებია ბარონი იმ პატივისცემას, რომელიც აღმოუჩინა მას გორში თავ. ი. გ. ამილახვარმა. ეს გენე-რალიო, ამბობს დე ბაი, ვინახუ-ლე საფრანგეთის პრეზიდენტის მინდობილებით, რომელიც დამე-გობრებია მას 1869 წ., როცა კავ-კასიისაკენ მგზავრობის დროს შე-მთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს ყირიმში და შემდეგ ერთად გაუ-გრძელებიათ მგზავრობაო.

ამ შენიშვნას გაზეთში ჩართუ-ლი აქვს ბარონ დე-ბაის და თავ. ამილახვრის მშვენიერი სურათები.

*** თანამდებობის დატოვება. ხმოსანმა კ. მ. ალიხანოვმა განუ-ცხადა ტფილისის ქალაქის გამ-გეობას საფინანსო კომისიის წევ-რის თანამდებობას ვტოვებ დროს უქონლობისგამოო.

*** სამწუხარო შეცდომის გამო. ვისაც გაზეთის, მუშაობის ცოტა რამ მაინც გაეგება, იმან კარგად იცის, რომ ყოველ-დღიური გაზე-თი ხშირად ძალიან საჩქარო მუ-შაობას მოითხოვს და ამის გამო ადვილად ხდება, რომ გაზეთის თა-ნამშრომელს, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ისეთი ცნობა გაეპა-რება გაზეთში, რომელსაც სხვა შემთხვევაში, უფრო დადინჯებუ-ლი მუშაობის დროს, დაიწყების გოდორში აკვრევინებდა თავს. გა-ზეთში შეცდომით ცრუ ცნობის გაშვება, რა თქმა უნდა, თავის-თავად სამწუხარო გარემოებაა, მაგ-რამ კიდევ უფრო სამწუხარო ის მოვლენაა, რომ ზოგიერთი, ქვენა გრძნობებით შეპყრობილი ვაჟბა-ტონი ბოროტად სარგებლობს რა რედაქციის ნდობით და მისი გან-საკუთრებულ პირობებში მუშაო-ბით, უსინდისოდ ცდილობს შეც-დომაში შეიყვანოს გაზეთის თა-ნამშრომელი მხოლოდ იმისთვის, რომ გაზეთში ვისიმე გალანძღვით და სხვა ამგვარ მდაბალი საშუა-

ლებით თავისი ქვენა გრძნობასურვილი დაიკმაყოფილოს. ასეთი სამარცხვინო საქციელი, გარდა იმისა, რომ ჩირქსა სცხებს, მეტად უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებს გაზეთის ხელმძღვანელს, რადგან გაზეთით უსამართლოდ შეურაცხყოფილი პირი მას პასუხს თხოვს და უსიამოვნების მიყენებას ემუქრება. სწორედ ასეთ უხერხულ და მეტად უსიამოვნო მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩვენ ამ ქამად ერთმა თავხედმა ვაჟბატონმა, რომელმაც შეცდომაში შეგვიყვანა და გაზეთში გამოგვაქვეყნებინა ცრუ ამბავი, თითქო პატივცემული ქალბატონი ბ. ვ. თავდგირიძისა ვიღაც ბოროტ-მომქმედთ მოეტაცოთ. მწუხარებით აღვნიშნავთ რა ამ გარემოებას, ჩვენ, ამ უხერხულ მდგომარეობიდან თავის დასახწევად, სამწუხაროდ, მეტი საშუალება არ დაგვრჩენია, მხოლოდ ბოდიში მოვიხადოთ ქ-ნის ვ. თავდგირიძის წინ მის უსამართლოდ შეურაცხყოფისათვის, ხოლო ჩვენ შეცდომაში შემყვან კორესპონდენტს და მის მგზავს თავგასულ ვაჟბატონებს, ღრმა ზიზღი და გულის წყრომა გამოვუცხადოთ, რომ მათ თავხედობას ოდნავ მაინც ავდვათ ლაგამი.

რედ.

*** ვექილი ანდრიევის მოწვევა. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ თავ. ბარათაშვილს, რომელსაც გაბაშვილის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდება, სასამართლოში გამოჩენილი პეტერბურგელი ვექილი ანდრიევი დაიცავს.

*** ნავთის წარმოება. წარსულ დეკემბერს ბაქოში სულ 42.024,8000 ფუთი ნავთი უწარმოებიათ და სხვა და სხვა მხარეებში გაუგზავნიათ.

*** ქალ. მოურავისა და არღუთინსკის საქმე. ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი თავისსა და თ. არღუთინსკის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ მოხსენებაში სწერს, სხვათა შორის, რომ უთანხმოებანი ჩემსა და თავ. არღუთინსკის შორის იმ დღიდგანვე დაიწყო, როდესაც შევუდექი ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულებასაო. ყოველთვის, როდესაც ახალის რამ წესის შემოღება მინდოდა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ანუ სასანიტარო-სამკურნალო ნაწილში, თავ. არღუთინსკი უთანხმოებას იწვევდა ხოლმე თავისის ჩემთან უკმეხის შემოლაპარაკებითაო. რაც შეეხება ხორცისა და პურის გამსინჯველ კომისიის სხდომაზედ დასწრებას, ორჯერ თუ სამჯერ დავესწარი და ამ მონაწილეობის მიღებით, საქალაქო დებულების მიერ ჩემდა მონიჭებულ უფლების თანახმად, ვცდილობდი ხელი მომემართნა კომისიისათვის და ისეთი წესი დამემყარებინა, რომ ყასბებს და მეპურეებს აღარ მოეტყუებინა ხოლმე მხმარებელნი წონაშიო. დასასრულ ქალაქის მოურავი სთხოვს გამგეობას, თქვენი აზრი გამოსთქვით იმ სახით, როგორც ამას შესაძლებელად დაინახავთ, — ვუშლიდი მართლა გამგეობის წევრს თ. არღუთინსკის, რომ მშვიდად, მიუდგომელად და წესიერად აღესრულებინა გამსინჯველ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობანი, თუ ჩემ მიერ მონაწილეობის მიღებით მსურდა ხელი მომემართა საგნის ყოველ მხრივ გამორკვევისათვისა და წესიერად გარდაწყვეტისათვისაო.

*** შეწირულება სტუდენტების სასარგებლოდ. 10 იანვარს კავკასიის მთავარ-მართებელმა 100 მ. გაუგზავნა ტფილისის პოლიცმეისტერს ხარკოვის უნივერსიტეტის კავკასიელ სტუდენტების სასარგებლოდ.

*** ახალი დანიშნულება. კავკასიის ყაზახთა მე-2 დივიზიის უფროსად დანიშნულ იქმნა ამავე დივიზიის ბრიგადის კამანდირი გენ.-მ. თ. ი. მ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

*** შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურც.“-ის გუშინდელ ნომერში შემდეგი შეცდომაა: გაზეთის მეორე გვერდის პირველ სვეტში მოთავსებულ ამბიდან („ქალაქის მოურავის“.... და სხ.) ოთხი სტრიქონი მოქცეულია პირველ ახალ ამბავში ეგზარხოსის წირვის შესახებ. ეს სტრიქონებია: „და ქალაქის მოურავისა და ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის შორის. „ქალაქის მოურავის მოხსენე“.

*** ს. ქვიტირი. (იმერეთი) ჩვენი ავი და კარგი. როგორც კეთილ-სინიდისიერი მამა თავიანთ შვილთათვის არ დაზოგავს თავის ღვაწლს და შრომას მათი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, აგრეთვე კარგი მამასახლისიც მუდამ მის ცდაშია, თუ საიდგან რა შესძინოს მისდამი რწმუნებულ საზოგადოებას, საიდგან და რა მხრით წასწიოს ის წინ, ობოლთა გაჭირვებულთა გაუადვილოს ცხოვრება და სხ.

კარგი და პატიოსანი მამასახლისი ზნეობრივათვალდებულია შთანერგოს მისდამი რწმუნებულ საზოგადოებაში ძმობა, ერთობა და სიყვარული, მოსპოს მათ შორის მტრობა და შური და სხ...

ბედნიერია ის საზოგადოება, რომლისათვის ბედს გაუღიმია და მათ მიერ არჩეულ პირს, „მამასახლისად“ წოდებულს ნამდვილი მამობა და პატრონობა გაუწევია საზოგადოებისათვის. დიახ, ბედნიერი ვიქნებოდით ჩვენ ქვიტირლებიც, რომ ერთ იმისთანა მამასახლისს მოვსწრებოდით, რომელიც ჩვენს საზოგადოებას, დაქვეითებულს ეკონომიურათ და სწავლა განათლების მხრით რაიმე საშუალებას აღმოუჩენდა.

ქვიტირის საზოგადოებაში, რომელიც რვა სოფლისაგან შესდგება და მასთან მცხოვრებთა რიცხვიც ათასს კომლამდე ადის, არსებობს ერთი სამრევლო სკოლა და ერთიც სამინისტრო. პირველი — ეს რამდენიმე წელიწადია თავის მიზანს ემსახურება, ხოლო მერე — ორი წელიწადი თუ იქმნება დაარსებულია და მოთავსებულია ერთ პატარა ხის სახლში, რომელშიაც ორმოცი ბავშვი თუ მოთავსდება ხეირიანად, მიუხედავათ ამისა სასწავლებელს ზემო მოხსენებულ სახლში ოთხმოც და ხუთი ბავშვი ჰყავს. ადვილი წარმოსადგენია მოსწავლეების გაჭირვება ამისთანა ვიწრო სახლში. არც მასწავლებელია კეთილ-მდგომარეობაში ამ გვარ შემთხვევაში, მაგრამ ეს არაფერი!... სოფლის მასწავლებელი ხომ ვალდებულია აიტანოს ყოველგვარი გაჭირვება: სიმშილი, წყურვილი, უბინაობა და სხ..

ვინ იცის კიდევ რამდენს ხანს გასტანდა ქვიტირის სკოლის მოსწავლეების მასწავლებლითურთ უნუგეშო მდგომარეობა სკოლის შენობის უქონლობისა გამო, რომ მათ ბედზედ სკოლის მზრუნველათ ფრიად პატივცემული მღვდელი მამა დავით ნასძრაძე არ აღმოჩენილიყო. მამა დავით ნასრაძის მეცადინეობით სულ მოკლე ხანში ქვიტირის სკოლის შენობა, რომელიც უკვე დაწყებულია სრულიად მოთავდება და მით მოსწავლეებს და მასწავლებელს ეღირსებათ თავისუფლათ ამოსუნთქვა. დიდი მადლობის ღირსია მღვდელი დავით ნასრაძე, რომელმაც ნათლათ დაგვანახვა სკოლისადმი მამობრივი ზრუნვა. იმედია მამა დავითი კვლავ განაგრძობს სკოლისათვის შრომას და თანაგრძნობას.

კოწია ჭეიშვილი

*** სამეგრელო. ძველი და ახალი ამბები. შობა-ახალ-წელიწადმა და ნათლის ღების დღესასწაულებმა საერთოდ მთელს სამეგრელოში წელს რაღაც უფერულუმხიარულოდ ჩაიარა. უმთავრესი მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ხალხის ნივთიერად დაცემაა და მასთან ხშირი სიკვდილი ადამიან
რომელ სოფელში გინდა შე
ოცში ხუთს მაინც შავი ტ
მოსი აცვია და მგლოვიარე,
მელიმე თვისის ნათესავისა.
ლგან ხშირად გაიგონებდით
საწყვეტს სიტყვებსა: „ვაი
ცოდა, მუ გამამხიარულენ
ცოდას“, — „ვაი ჩემი ცოდვა,
გამამხიარულებს მე საწყალს
დიდი თუ პატარა, ქალი თუ
ცი, ყველა წარსულ წლის
ლა-კრულვაშია, მოგვშორდა
ოხერი წელიწადი, რომელმაც
კეთე არ დაგვაყარაო, ბევრს
ვწყვიტა გული და აბა შენ
ახალო წელიწადო, წარსულ
გულ-დაჩაგრულებს გაგვიღ
მოგვხედე წყალობის თვალ
ღმერთმა ქმნას, მათი ლოცვ
რება ახალ წელიწადს მიეღო
მათში დაამყაროს „მშვიდობა
კაცთა შორის სათნოება“.

— ავადმყოფობა. ეს მ
თვე სრულდება მას აქეთ,
სამეგრელოს ყოველ სოფ
მოდებულია რაღაც ერთნა
ავადმყოფობა, რომელიც ადა
სურდო-ხველას მსგავსად ემ
ბა. ამ ავადმყოფობას ხალხი
ფლუენციას“ ეძახის. ამ ავად
ფობით მრავალი ადამიანი
სის თავიანთ ლოგინში. ეს
ცხადია, რომ ეს „ინფლუენც
თუ რაღაც დარდუბალაა,
დაემართა ათი თუ თხუთმეტ
დიდად აწვალ-ატანჯა და
კი გაანთავისუფლა. „ინფლ
ცია ინფლიუენციააა“ და
არის თუ კარგად, ზარალს
არ შვრება, მაგრამ უბედურ
არის, რომ სხვა მოარულმა
მყოფობამ უფრო საქმე გ
ჩვენს ხალხს. ძალიან ხშირა
ლხში: ყვავილი, კისერა, წ
ყივანა ხველა, ანთება-მჭვალ
სხვ. ამათში უფრო გავრცე
ლია და დიდს ზარალს
ყვავილი. სამწუხაროდ, ჩვენ
ლხი დიდი თაყვანის მცემელ
სენისა. თუნდ რომ მოჰკლა
ნი ხალხი, მაინც ყვავილიან
დმყოფს წამალს ვერ უშ
„პატონეფი გოჭყორუნა დო
ხის დომიყვილუნა“ — „ყვ
გაგვიწყრება და ავადმყოფს
ვიკვლავს“-ო. დიდად საჭ
რომ ყოველ საზოგადოებაშ
ცრელები გაიგზავნოს.

— ამინდი. დეკემბრის შ
ცხვებში ცოტაოდენი წამ
და მესამე თუ მეოთხე დღ
ლიდან მოგვშორდა. მას აქ
ნატრელი ამინდები დაიჭი
ხანდახან მზეც უხვად ჰფე
დამიწას თავის გამაცოცხ
სხივებს და სითბოც კარგ
ამ ამინდმა უფრო შეუწყო
სხვა და სხვა ავადმყოფობა
ვარიც კარგი დარებით დ

— ქურდობა. თუმცაღა საზოგადოდ მეგრელებს ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი ქურდობაზედ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს თითქმის ისპობა მართალია, აქა იქ ათასში ერთს გაიგონებთ ქურდობაზე, მაგრამ უწინდელის შედარებით არც კი სათქმელია და ვგონებ მალე მოისპოს კიდეც.

ტელეფონი

## წმიდა და ნეტარი მოწამე ქრისტესი აბო *)

«აწ მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა აბლისა ამის წმიდის მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩვენსა ქართლისასა მეოხ ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახვნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩვენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღვაწებასა მისსა».

(ქება წმიდისა მოწამისა აბოსი).

ამ გვარად წმ. აბომ საფუძვლიანად შეისწავლა წმიდა ეკლესიის მოძღვრება... მან უარ ჰყო სჯული მაჰმადისა და „შეიყვარა ქრისტე ყოვლითა გულითა“... მაგრამ წმ. აბო მაჰმადიანების შიშის გამო თავისს თავს ვერ აცხადებდა ქრისტიანედ და ფარულად ლოცულობდა იესოს მიმართ და მარხულობდა; თან ეძიებდა ისეთს მყუდრო და უშიშარს ადგილს, სადაც მას მიეღო ნათლისღება.. არაბები კვალად სდევნიდნენ ნერსეს, სამშობლოში დაბრუნებულს, სდევნიდნენ აღბად იმისთვის, რომ ის ხელს უმართავდა დაჩაგრულ ქრისტიანებს. წმ. აბოს ცხოვრების აღმწერი იტყვის, რომ ნერსეს სასტიკად სდევნიდა არაბთა ერთ... ნერსემ მიატოვა საქართველო და სამას კაცთან ერთად გაიარა დარიალის ხეობა, „კარი იგი ოვსეთისა“ და გადავიდა ჩრდილოეთს კავკასში... მას თან გაჰყვა წმ. აბოც. გაქცეულები მივიდნენ ხაზარეთის ქვეყანას, რომლის მეფემ მიიღო ისინი დიდის პატივით; მან მისცა „საზრდელი და სამოსელი“ სამშობლოდამ გარდახვეწილ ქართველებს. ხაზარეთის ქვეყანაში, როგორც იტყვის წმ. აბოს ცხოვრების აღმწერი, ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა უშიშრად; აქ წმ. აბომ, განშორებულმა არაბების შიშსა და მძლავრობასა, მიიღო ნათლის-ღება და სამუდამოდ შეუერთდა ქრისტეს ეკლესიასა. ნათლის-ღების შემდეგ წმ. აბო მიეცა ლოცვასა და მარხულებასა... მალე ნერსემ და წმ. აბომ მიატოვეს ხაზარეთი და გაემგზავრნენ აფხაზეთსა, სადაც შეხიზნული იყვნენ ნერსეს დედა, ცოლი, შვილები და ყოველნი მისნი სახლეულნი და სადაც გაგზავნილი იყო ყოველივე ქონება მისი. აფხაზეთი ანუ დასავლეთი საქართველო იმ დროს უშიშარს მდგომარეობაში იყო; მას ძლიერ ნაკლებად ხვდებოდა არაბების ყოვლად შემმუსვრელი ხელი. ეს მხარე იმ ჟამად ჰყვაოდა თვის სარწმუნოება-ზნეობით, ვაჭრობით, მრეწველობით და სტკბებოდა საამქვეყნო კეთილდღეობითა... აფხაზეთის მთავარმა, ანუ გამგემ მიიღო ნერსე და მისი მხლებლები დიდის პატივისცემით; აქვე ნახა ნერსემ თვისი დედა, ცოლი და შვილები, რომელნიც მადლობდნენ ღმერთს ნერსეს მშვიდობის ნახვისათვის. დიდის პატივით მიიღეს აფხაზეთის მთავარმა, ეპისკოპოსმა და მღვდლებმა ახლად ნათელ-ღებული აბო, რომელსაც ისინი, „ნუგეშინის ცემდნენ და უთხრობდეს მას სიტყვათა ცხოვრებისათა და ახარებდეს მას ქრისტესთვის და საუკუნოსა ცხოვრებისათვის“... წმ. აბო აღტაცებაში მოვიდა, რომ დასავლეთს საქართველოში ნახა მტკიცედ დამყარებული ქრისტეს სარწმუნოება და არც ერთი ურწმუნო აღარ ცხოვრობდა მის მიწა-წყალზედ. წმ. აბომ იხილა ამ ქვეყნის ქართველ მკვიდრთა გარდამეტებული ღვთის მსახურება და ლოცვა და თვითაც განიმსჭვალა ისეთსავე მხურვალე სარწმუნოებით, როგორითაც ისინი გამსჭვალული იყვნენ. წმ. აბოს ცხოვრების აღმწერი გამოხატავს აფხაზეთის ანუ დასავლეთის საქართველოს ცხოვრებას სწორედ იმ სახით, რა სახითაც ამავე ცხოვრებას გვიხატავენ სხვა საისტორიო წყაროები. ამ მხარეს, იქ ნერსეს და წმ. აბოს მისვლის დროს, განაგებდა ლეონ მეორე, რომელიც დიდი მოსარჩლე იყო ქრისტიანებისა და მფარველი განათლებისა... მან პირველად დაიდგა თავს სამეფო გვირგვინი და დიდად ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს კეთილ წარმატების და კეთილდღეობის გზაზედ დაყენების საქმესა. ლეონ მეორემ აღაყვავა დასავლეთ საქართველოს ცხოვრება და მოამზადა იმ კეთილ დღეობისათვის, რომლითაც ეს მხარე სტკბებოდა მთელის ოთხასის წლის განმავლობაში. ამ ხანებში ქართლის გამგედ დანიშნულ იქმნა დისწული ნერსესი სტეფანოსი, რომელმაც თვისი ბიძა გამოიწვია აფხაზეთიდამ ქართლში. ნერსი ქართლში დაბრუნდა და თან გამოჰყვა წმ. აბოც.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 725.

## სამკურნალო ცნობა

ხუნაგი *). პირველ შემთხვევაში ადამიანს ხუნაგი უჩნდება კუჭსა და ღვიძლში, როდესაც რაიმე მავნებელი მიზეზების გამო ამ ორ ორგანოში რიგიანი სისხლის მიმოსვლა არ არის და მათ შორის რჩება პაწაწკინტელა კენჭების მაგვარი ნივთიერებანი, იგინი დღითი-დღე მატულობენ, მრავლდებიან და მიკროორგანიზმის თვისებას ღებულობენ; შემდეგ უშხამავენ ადამიანს მთელს სისხლს და ბოლოს ერთ ადგილას გროვდებიან. მეორე შემთხვევაში, შეიძლება ადამიანს არც კუჭის, არც ღვიძლის ავადმყოფობით და პირდაპირ შეხვდეს ხუნაგი. რასაკვირველია, როგორც სხვა გადამდებობითი სნეულებანი,—ხუნაგის მხამიანი მიკროორგანიზმებიც ჰაერში ბრუნავენ და ადვილად წარმოსადგენია, რომ შეასუნთქოს ადამიანმა და მიიღოს თავის სტომაქში ეს უსიამოვნო სტუმარი. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ყოველივე მიკროორგანიზმი, რომელიც ადამიანის სტომაქში ჩადის, არასოდეს არ დაჰკარგავს თავის დაწესებულს ბუნებას და იქამდე მოძრაობს შიგ, ვიდრე იმ ასოს არ იპოვის, რომლის დამამხობლადაც არის ჩასული. როცა პოულობს, ბინავდება, იკეთებს ბუდეს და იწყობს მრავლობას. ხუნაგი ერთი ავადმყოფიდგან გადადის მეორე-საღზედ და ამ რიგათ ედება მთელს ოჯახს და შემდეგ მათ მეზობლებს. ეს სნეულობა შეიძლება უსულო საგნებიდგანაც გადაედოს ადამიანს, ტანისამოსიდგან, საჭმელ-სასმელიდგან და ბავშვებს სათამაშო ნივთებიდგან. ამ უკანასკნელს დროში მეცნიერებმა გამოაკვლიეს, რომ ხუნაგი შეიძლება ქათმისგან, მტრედისგან და ხბოსაგანაც გადაედოს, რადგანაც ეს ცხოველებიც ხშირად ხდებიან ამ გვარი სენისაგან ავადათ. ხუნაგი განსაკუთრებით კაცზე ზამთარში უფრო სასტიკად მოქმედობს, რასაკვირველია, სანიტარულ პირობებსაც დიდი ზედ გავლენა აქვს ხუნაგის გავრცელებაზე. ხუნაგი ყველა წლოვანებისასა ხვდება და არც სქესს არჩევს, თუმცა კი გაცილებით ბავშვები ხშირად ხდებიან ავად. სასტატისტიკო ცნობებიდგან ვიცით, რომ ხუნაგით დაზარალებული ხალხი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა გადამდებობით ავადმყოფობისაგანა მაგ. ყვავილისაგან, წითელასაგან, ქუნთრუშა და სხვისაგან. პეტერბურგში 1891 წელს ხუნაგით მოკვდა 2846 ბავშვი ორივე სქესისა, ამავე წელს, იქვე—კაცი მოკვდა 299 და დედაკაცი 337. ამ რიცხვებიდგან ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ რა შემაძრწუნებელი და მაზარალებელი სენია ხუნაგი.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 724.

## ამორჩეული აზრები

ვინც ვალს იღებს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ თავის შემოსავალზე მეტად იცხოვროს, ისეთივე უსინდისოა, როგორათაც სხვის ჯიბეში ხელის ჩამპარებელი.

სინიდისი ადამიანს ფეხზე აყენებს, გამბედაობა კი ხელს უწყობს დარჩეს იმავე მდგომარეობაში.

ის კაცი ბედნიერია. რომელიც თავის ბედნიერებას არ ეძებს.

თუ გვინდა რომ ხალხმა შეგვიყვაროს და მისგან პატივისცემა დავიმსახუროთ, საჭიროა მის გაჭირვებას ვებრძოლოდ.

კაცს არ შეუძლიან არ მიბაძოს მას, რომელთანაც მეგობრობა და ნაცნობობა აქვს

## ყურმოკრული საუბარი

— მე გავიგე, რომ შენ თურმე ვეფხვაძეების ქალს სიყვარული გამოუცხადე, რის გამო ლაზათიანად მიგზურგეს და კინწის კვრით გამოგაგდეს.

— მართალია,.. მაგრამ მეც გვარიანად გადაუხადე.

— რითი?

— იმითი, რომ თავს აღარ უკრავ.

— ჩემ ქალს იმდენჯერ ასი თუმანი აქვს, რამდენი წლისაც თვითონ არის.

— რამდენი წლისაა თქვენი ქალი?

— ჩვიდმეტისა.

— მაშ ჩემთვის ძალიან პატარა ყოფილა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ადამიანის სანთელი. დასაბამიდგანვე ვიდრე ამ უკანასკნელს ჟამამდე მეცნიერები იკვლევენ ადამიანის სხეულს და დღემდის კიდევ ზედ მიწევნით ვერ გაიგეს რა თვისებებისაგან შესდგება ადამიანის სხეული. სულ ამ ცოტა ხნებში, გამოჩენილმა საფრანგეთის მეცნიერმა მკურნალმა, რანვემ, გამოიკვლია, რომ ადამიანის სხეული თურმე სანთელისაგანაც შესდგება, რომელიც არაფრით არ გაირჩევა ფუტკრის წმინდა სანთლისაგან და იმგვარათვე იწვის ცეცხლზე, როგორც ყველა ჩვეულებრივი წმინდა სანთელი და სუნიც სწორედ ისეთივე აქვს. სანთელი მეცნიერის გამოკვლევით, უფრო მეტი ნაწილი ხელის გულებში ჰქონია ადამიანს. რანვემ აიღო ადამიანის ხელის ტყავი ჩაყარა ეთერში (Эфиръ). ოცდა ოთხი საათის შემდეგ შენიშნა, რომ ადამიანის კან-ტყავი სრულებით დაიშალა და დანაწილდა სხვა-და სხვა ელემენ-

ტებად: ქონი და სხვა ნაწილები მოიგდო ზევით, მხოლოდ ძირს დაილექა ყვითელი სისქე, და გაგრილების შემდეგ მიიღო ყვითელი კოშტი სანთელი, რომელიც იოტის ოდენადაც არ გაირჩევა ფუტკრის წმინდა სანთლისაგან, და დნობითაც ისევე დნება, როგორც ფუტკრის ჩვეულებრივი კოშტი სანთელი.

—

**როგორი ქალი მოსწონს საცოლოდ იაპონელს ხელოსანს.** იაპონიის ერთს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება ხელოსნისა: „რადგან შემოსავალი გვარიანი მაქვს, გადავწყვიტე ქალი შევირთო; ის ქალი, რომელიც ჩემ ცოლობას მოისურვებს უნდა იყოს:

1) 21 წლისა.
2) სრულიად ჯან-სალი.
3) შეხედულობით საშვალოზე უფრო ლამაზი.
4) კარგი მცოდნე ანგარიშისა.
5) სათნო და გულ-კეთილი.
6) მაშინაზე კერვის მცოდნე.
7) ცოტა რამ ქონების პატრონი.
8) მაგარ სასმელების უარმყოფელი.
9) მშობლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან»).

11 იანვარი

**ლონდონი.** სავაჭრო პალატაში გამართულ ნადიმზედ ბირმინგამში ჰერცოგმა დევონშირელმა წარმოსთქვა სიტყვა. ჰერცოგმა სთქვა, რომ ინგლისი თანაგრძნობით თვალ-ყურს ადევნებდა ამერიკას, რომელმაც მოისურვა სამსოფლიო პოლიტიკაში უფრო თვალსაჩინო ადგილის დაჭერა. შემდეგ ჰერცოგმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ურთ-ერთა ინტერესების დაბადებამ ქვეყნის სხვა-დასხვა კუთხეში, აგრეთვე გარდაწყვეტილებამ, რომ ვიბრძოლოთ ინგლისის უფლებათათვის, ინგლისი უფრო მჭიდროთ დაუახლოვა ისეთს სახელმწიფოების, როგორიც არიან გერმანია, იტალია და იმედი მაქვს, რომ რუსეთსაც. რაც შეეხება საფრანგეთს, ჩემის აზრით, კრიზისი, რომელიც ამას წინად საფრანგეთს თავს დაატყდა, უკვე დასრულდა. ამ კრიზის ყველაზედ უფრო შეუძლიან გაწმინდოს ჰაერი, მორიგება უფრო ადვილი გაჰხადოს, გამწვავების ნაცვლად უფრო მოუწყოს ხელი მიმდინარე საქმეების მშვიდობიანად გარდაწყვეტას.

მოკლე სიტყვაში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გულწრფელად ვეთანხმები ყოველსავე ჰერცოგის მიერ წარმოთქმულს; ამასთან სთქვა, რომ ჰერცოგის სიტყვას საზღვარ-გარედ დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს ატყობინებენ შანხაიდგან, რომ მეამბოხეთ აიღეს ქალაქი იუიანსი და ბრძანება გასცეს სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა ჩამოღრჩობისა. მეორე მახლობელი ქალაქიც მეამბოხეთ ხელში ჩაუვარდა, რადგანაც მომხრეებმა ქალაქის გალავნის კარები გაუღეს. ამ ქამად მეამბოხენი ჯოჯოუსა და კანგჟოუში მიდიან, რომ ამ ქალაქებს ალყა შემოარტყან.

**პარიზი.** პალატამ განაგრძო გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვის განხილვა, სოციალისტმა ვილიამ მიულოცა მთავრობას ის გარემოება, რომ მან თავიდგან აიცილა ინგლისთან ომი. მან მოითხოვა ინსტრუქციები იქმნას გამოცემული შეიარაღების შესაზღუდათ. დელკასემ სთხოვა პალატას, — დაენდოს მთავრობას. ფურნიერმა თავისი სიხარული განაცხადა რუსეთის იმპერატორის წინადადებისა გამო. სიურკუფმა მოითხოვა, სამინისტრომ დაამშვიდოს ბრეტონის ნცხოვრებელნი ნიუფაუნდლენდში თევზის ჭერის გამო. დელკასემ მიუგო, რომ საფრანგეთს ნიუფაუნდლენდის გამო არავინ არ ედავება, საფრანგეთის უფლებანი ნიუფაუნდლენდზედ აუცილებელიაო. (ტაშის ცემაა). საზოგადო განხილვა ხარჯთ აღრიცხვისა დასრულდა. პალატა შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლების ცალ-ცალკე განხილვას.

**მადრიდი.** რიოსი დეპეშით იუწყება მანილიდგან, რომ ესპანელ ტყვეების ერთმა ნაწილმა თავისუფლება მიიღოვო. იმას იმედი აქვს დანარჩენ ტყვეების განთავისუფლებისაც.

13 იანვარი.

**ვენა.** შეიარაღების შემცირების შესახებ კონფერენციის პროგრამაში გაზეთები ღირს-შესანიშნავად ხთვლიან პირველსა და უკანასკნელ მუხლს და ამბობენ, სხვა მუხლების მოწეს-რიგება ქვეყნის ხელ-შეკრულების გამოყენებით შეიძლებაო. გაზეთები იმ რწმენას ადგიან, რომ თუნდა მშვენიერი მიზანი მიწეულიც არ იქმნეს, კონფერენცია მასალას მაინც მოგვცემს აღძრული კითხვის შესამუშავებლადაო. „Fremdenblatt“-ი ამბობს: „თუ სისრულეში მოყვანილ იქნა პროგრამის მუხლები მე-5-დან მე-7-მდე, ეს უკვე დიდი წინ-მსვლელობა იქმნება კაცთმოყვარეობის აზრითაო. პირველი და უკანასკნელი მუხლების შესახებ აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოთა მიერ წინდა წინვე საქმის განხილვაო მოუთმენლობით უნდა მოველოდეთ იმას, თუ რა თვალით შეხედავენ სახელმწიფოები განსაკუთრებით პირველ მუხლს, სადაც უმეტესი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისა და პოლიტიკურ პირობათა და დაწესებულებათა განსხვავებას. მაგრამ კომფერენცია კიდეც რომ ვერ დაგვირგვინდეს წარმატებით, ამ შემთხვევაშიაც მნიშვნელობა შერჩება იმ ფაქტს, რომ კონფერენცია აღძრა რუსეთის იმპერატორმაო. „Neue Freie Presse“-ს ეჭვიც არ აქვს, რომ ყველგან გადაწყვეტილი აქვთ დაეთ[...] მონ რუსეთის წინადადებასაო.

14 იანვარი

**სოფია.** იმ ხმებს, თითქო[ს] მოკიდებულება ოსმალეთსა [და] ბოლგარიის შორის გაწვავე[...] იყოს, აქ უბრალო საბ[...] ხრიკებად აღიარებენ. დამოკ[იდე]ბულება ოსმალეთსა და ბოლ[გა]რიას შორის ისევ ისე მეტა[დ] გობრულია.

**პეკინი.** რუსეთის „მცველ[თა ჯა]რის“ ერთმა ნახევარმა დატ[ოვა] პეკინი, ასე რომ რუსეთის ჯ[არი] რაოდენობით აღარ აღემა[ტება] სხვა სახელმწიფოების ჯარებს.

# განცხადებანი

გამოვიდა მეორე წიგნი

რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდ[ე] წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერ[თ] შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზა[ვ]ნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ა[ხა]ლის წიგნების მიღების შემდეგ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონებ[ი] ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებ[ს] სავსებით რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვე[ყ]ყნის შესახებ, — ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსი[]კონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწდომი. მესამე წიგნი ას[...] **ვინ**-ზე გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც, საზოგადოების და ბ. ხიდდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

(8—7)

БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми ПРИЛОЖЕНІЯМИ: съ пересылкою На ГОДЪ **4** РУБ.

второе изданіе

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми приложеніями съ пересылкою на три мѣсяца . . **1** р[уб.] На мѣсяцъ 35 к.

БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ БЕЗЦЕНЗУРНАЯ ГАЗЕТА.

ИЛЛЮСТРАЦІИ

на событія дня какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ нумеровъ, но и въ самой газетѣ

ЕЖЕДНЕвНО

По воскресеньямъ выпускается сверхъ газетнаго лиса особое литературное прибавленіе, печатающееся на бѣлой глазированной бумагѣ и составляющее особый еженедѣльный

безплатный

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

Въ предстоящ. году будутъ напечатаны

«Колесо Фортуны» романъ Независимаго **I. I. Ясинскаго.** «въ муромскихъ лѣсахъ» повѣсть Е. А. Саліаса „**письма**“ Н. А. Лѣскова.

«**городской голова**» романъ Вас. Ив. Немировича-Данченко „ЛУЧИ“ повѣсть К. К. Случевскаго «ТАЛИСМАНЪ» историчес. романъ проф. П. Безобразова.

Самостоятельный въ своихъ суж[де]ніяхъ, чуждый тенденціознаго из[вра]щенія фактовъ и безусловно неза[виси]мый органъ печати. Ярко освѣ[щая] всѣ явленія общественной жизни, им[ѣя] огромную сѣть корреспондентовъ [...] газета при всей своей твердости [и] неуклонности, справедливая и безп[ри]страстная, уже много лѣтъ являе[тся] несомнѣнно,

*наиболѣе полнымъ*

**выразителемъ нуждъ провинці[и]**

Главные отдѣлы газеты, а въ особ[енн]ости передовой, политической; [...] личной и провинціальной общест[вен]ной жизни, фельетона, телегра[ммъ,] корреспонденцій и пр.,—по свое[й по]лнотѣ и свѣжести совершенно о[тли]чаютъ подобнымъ-же отдѣламъ [дру]гихъ большихъ столичныхъ газетъ [...] ней нѣтъ ненужныхъ несвязанн[ыхъ] случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣн[яетъ]

ЖИВОЕ СЛОВО.

ГЛАВНАЯ КОНТОРА: С.-Петербургъ, Невскій, 28.

*Въ 1898 Году болѣе 60,000 подписчиковъ.*

(6—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუ[...]